სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

გრძანება №01-09-10/141

ქ. თბილისი 19 07 2018 წ.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ,,პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განმახორციელებელი ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო–გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში პროგრამა) დანერგვის პროცესისათვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნას შიდა მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
   - ზურაბ მახარაშვილი – კარიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვის მენეჯერი - ჯგუფის თავმჯდომარე;
   - ლიანა ილურიძე – სასწავლო პროგრამების კურატორი – ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
   - გულჯერი გვენეტაძე – ,,სამთო ტექნიკოსის" პროგრამის ხელმძღვანელი – ჯგუფის წევრი;
   - გიორგი თაბაგარი – ,,სამთო ელექტრომექანიკოსის" პროგრამის ხელმძღვანელი – ჯგუფის წევრი;
   - მარიზი შეყილაძე – ,,მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის" პროგრამის ხელმძღვანელი – ჯგუფის წევრი;

- დარეჯან ბოჭორიშვილი – პედაგოგი – ჯგუფის წევრი;
- ნუგზარი ქათამაძე – პედაგოგი – ჯგუფის წევრი;
- მარინა ქასრაშვილი – პედაგოგი – ჯგუფის წევრი.

2. დაევალოს ჯგუფს:

ა) შეადგინოს მონიტორინგის გეგმა;

ბ) მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, ჩაატაროს მონიტორინგი;

გ) ლექციაზე/პრაქტიკულ სწავლებაზე/შედეგზე მონიტორინგი აწარმოოს ჯგუფის თავმჯდომარემ ან მოადგილემ და ჯგუფის სამმა წევრმა; მონიტორინგის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის თავმჯდომარე ან მოადგილე და მონიტორინგზე დამსწრე ჯგუფის ყველა წევრი;

დ) შეაგროვოს საჭირო ინფორმაცია;

ე) მოახდინოს პრობლემების იდენტიფიცირება;

ვ) შეიმუშავოს პრობლემების გადაჭრის გზები;

ზ) შეამოწმოს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია;

თ) წარმოადგინოს სრული ინფორმაცია პროგრამის დანერგვის მიმდინარეობისა და მონიტორინგის განხორციელების შესახებ ყოველი თვის 25 რიცხვამდე;

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამთო–გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს შ. კელეპტრიშვილს;

4. ბრძანება განთავსდეს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი